



ფინანსური ანგარიშგება

შპს გლოვოაფუ ჯორჯია (ს/კ 402099475)

2020 წლის 31 დეკემბერი

Glovo!



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-Dec-20	31-Dec-19
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,409,145	189,377
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,664,361	364,496
მარაგები		383,752	218,511
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	444,266	189,227
სულ აქტივები		5,901,524	961,612
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	16,619,521	4,613,772
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხი	10	8,316,170	7,174,281
სულ ვალდებულებები		24,935,691	11,788,053
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(19,034,168)	(10,826,441)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,901,524	961,612

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 10 სექტემბერი 2021 წელი:

გიორგი ქერქაძე

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-16 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბრის სადრულეზული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

		2020	2019
ამონაგები	4	20,641,441	7,272,267
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5	1,863,017	596,268
სათაო ოფისის მომსახურების ხარჯები		(7,326,447)	(3,711,807)
კურიერების მოზიდვის ხარჯები		(7,318,134)	(5,901,089)
საჯურსო სხვაობა		(5,468,300)	(259,047)
მარკეტინგის ხარჯები		(3,704,030)	(1,957,659)
პროფესიული მომსახურების ხარჯი		(2,077,775)	(802,778)
სხვა საგადასახადო ხარჯები		(1,310,807)	(955,494)
თანამშრომელთა ხელფასები		(1,013,340)	(794,576)
საპროცენტო ხარჯები		(467,899)	(90,830)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		(444,915)	-
დაზღვევის ხარჯი		(408,316)	(111,277)
ოჯარის ხარჯი		(220,631)	(143,246)
ცვეთის ხარჯი		(124,580)	(28,575)
მივლინების ხარჯები		(30,116)	(28,507)
საპროცენტო შემოსავალი		14,991	-
საპროცესინგო ხარჯები		-	(636,972)
სხვა ხარჯები		(811,885)	(680,970)
მოგება დაბეგვრამდე		(8,207,726)	(8,234,291)
მოგების გადასახადი		-	-
გუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(8,207,726)	(8,234,291)

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-16 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.



კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ბალანსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(2,592,150)	(2,592,150)
პერიოდის შედეგი	-	(8,234,291)	(8,234,291)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(10,826,441)	(10,826,441)
პერიოდის შედეგი	-	(8,207,726)	(8,207,726)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(19,034,168)	(19,034,168)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-16 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნები	2020	2019
ლარი			
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		(8,207,726)	(8,234,291)
კორექტირებები:			
ცვეთა	8	124,580	28,575
ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)		467,899	90,830
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		444,915	-
საკურსო სხვაობა		5,468,300	259,047
საოპერაციო შედეგი საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		(1,702,032)	(7,855,839)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებიდან		10,436,720	(14,059,567)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებიდან		(5,709,974)	(273,644)
ცვლილება მარაგებში		(165,241)	(175,452)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან		2,859,473	(22,364,502)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(376,621)	(185,530)
წმინდა ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(376,621)	(185,530)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		-	22,496,949
სესხის დაფარვა		(1,151,603)	-
წმინდა ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,151,603)	22,496,949
ფულად სახსრებზე უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა		(111,482)	(97,490)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,331,250	(53,083)
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე პერიოდის დასაწყისში		189,377	339,950
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე პერიოდის ბოლოს	6	1,409,145	189,377

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-16 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “გლოვოაფუ ჯორჯია” (კომპანია) დაარსდა 2018 წელს და მისი ძირითადი საქმიანობა ტექნოლოგიური პლატფორმის მართვაა. კომპანია მოქმედებს, როგორც შუამავლად პროდუქციის გამყიდველს, კურიერებსა და მომხმარებლებს შორის.

შპს “გლოვოაფუ ჯორჯია”-ის 100%-ის წილის მფლობელი არის კომპანია “გლოვოაფუ23” ეს.ელ, ესპანური კომპანია.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი არის დ. აღმაშენებლის №129ა, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და



ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-16 შენიშვნაში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233 (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677, ერთი ევრო 3.2095). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.



მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი – 3-5 წელი
იჯარის კეთილმოწყობა – 5 წელი

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

3.4.1. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია



მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთობლივი განხორციელების შესახებ.

3.5 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.



აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.8 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება პარტნიორების მიერ მიღებულ შემოსავალზე გარკვეული საკომისიოს დაწესებით.

3.9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.



4 შემოსავალი

	2020	2019
საკომისიო შემოსავალი	19,124,907	7,090,290
სხვა შემოსავალი	1,516,534	181,977
	20,641,441	7,272,267

5 სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი მარკეტინგული საქმიანობიდან	1,068,330	33,236
კურიერებზე მიწოდებული მარაგები	322,480	382,597
შემოსავალი რესტორნებზე მიწოდებული მარაგებიდან	208,968	127,449
სხვა საოპერაციო შემოსავალი	263,239	52,986
	1,863,017	596,268

6 ფული და ფულის ექვივალენტები

	31-Dec-20	31-Dec-19
ფული საბანკო ანგარიშზე	1,409,145	189,377
	1,409,145	189,377

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-Dec-20	31-Dec-19
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,667,933	346,309
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(444,915)	-
	3,223,018	346,309
გადახდილი ავანსი	441,343	18,188
	3,664,361	364,496



8 ძირითადი საშუალებები

	იჯარის კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა და ავიჯი	ჯამი
თვითღირებულება			
საწყისი ბალანსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	33,124	33,124
დამატება	-	185,952	185,952
გასვლა	-	(422)	(422)
საწყისი ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	218,654	218,654
დამატება	314,056	69,989	384,045
გასვლა	-	(7,424)	(7,424)
საწყისი ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	314,056	281,218	595,275
აკუმულირებული ცვეთა			
საწყისი ბალანსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	851	851
ცვეთა	-	28,506	28,506
გასვლა	-	70	70
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	29,427	29,427
ცვეთა	59,767	64,813	124,580
გასვლა	-	(2,999)	(2,999)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	59,767	91,241	151,008
საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 1 იანვარი	-	32,274	32,274
2019 წლის 31 დეკემბერი	-	189,227	189,227
2020 წლის 31 დეკემბერი	254,289	189,977	444,266

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-Dec-20	31-Dec-19
სავაჭრო ვალდებულებები	3,936,420	1,659,810
საგადასახადო ვალდებულება	590,595	172,112
სავაჭრო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ	12,088,927	2,773,834
სხვა სავაჭრო ვალდებულება	3,579	8,017
	16,619,521	4,613,772



10 სესხი

	<u>31-Dec-20</u>	<u>31-Dec-19</u>
სესხი დამფუძნებლებისგან	8,316,170	7,174,281
	8,316,170	7,174,281

11 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

11.1 საკონტროლო ურთიერთობები

შპს “გლოვოაფუ ჯორჯიას“ 100%-ის წილის მფლობელი არის ესპანური კომპანია “გლოვოაფუ23” ეს.ელ.

11.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ლარი		
ტრანზაქციები	<u>2020</u>	<u>2019</u>
დამფუძნებლები		
სესხის მიღება	-	22,496,949
სესხის დაფარვა	(1,151,603)	-
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	467,899	90,830
ლარი		
ბალანსი	<u>31-Dec-20</u>	<u>31-Dec-19</u>
დამფუძნებლები		
მიღებული სესხები	8,316,170	7,174,281

11.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

ლარი	<u>2020</u>	<u>2019</u>
ხელფასები და ბონუსები	167,186	179,549



12 გაუთვალისწინებელი გარემოებები

12.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება, ცენტალიზებული ეკონომიკის, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონეა.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვეველობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვეველობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

12.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა კომპანია სარგებლობს თანამშრომელთა, საერთო ვალდებულებისა და პირადი უსაფრთხოების დაზღვევის მომსახურებით, რაც კომპანიას ხდის დაცულს საქმიანობის ყველა ეტაპზე.

12.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურაებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.



12.4 გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

13 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

კორონავირუსის ახალმა სახეობამ, კოვიდ-19-ის გავრცელებამ, რასაც შემდგომ მოჰყვა, საქართველოს მთავრობისგან რიგი შეზღუდვების დაწესება, მათ შორის, დაიხურა ყველა ბიზნეს ერთეული და აგრეთვე კომპანიასთან დაკავშირებული პარტნიორები, რამაც საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა კომპანიის შემოსავლებზე, გაიზარდა საოპერაციო ხარჯები და უფრო მეტი რესურსის მოხილვება გახდა საჭირო რათა პანდემიის პერიოდში შენარჩუნებულიყო ბიზნეს საქმიანობა.

კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და მომავალში პანდემიის განვითარების მოლოდინი, გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც უკვე აისახა სავალუტო ბაზრის ცვალებადობაზე.

მიუხედავად მრავალი გაურკვევლობისა, ეროვნული ბანკი აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, რათა შემცირდეს ნეგატიური გავლენა მოქალაქეებსა და კომპანიებზე.

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დღეს გაცვლითი კურსი იყო 3.1157.

სხვა პერიოდის შემდგომი მოვლენა არ მომხდარა, რომელიც მოითხოვს აღიარებას ან გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

14 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 10 სექტემბერს.